





ଓରେଜ୍‌ଯାର୍ଗ  
ET CETERA

ଖରନାଟାନ ସାଫରାନ ଓହାରୀ  
ଉଦ୍‌ବ୍ୟାପକ କମାଲିଙ୍ଗ ଏବଂ  
ବ୍ୟାକମାନ୍ଦିଳୀ ଏବଂ କମାଲିଙ୍ଗ

ჯონათან საფრან ფორი  
უსაშველოდ ხმაგალლა და ცარმოუდგენლად ახლოს

Jonathan Safran Foer  
EXTREMELY LOUD & INCREDIBLY CLOSE

ინგლისურიდან თარგმნა დავით ახალაძემ

© Jonathan Safran Foer, 2005

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2018

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-569-1

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)













ნიკოლას,  
რომელიც ჩემთვის მშვენიერების განსახიერებაა.



## რაო?

ჩაიდანზე რას იტყვით? წყლის წამოდუღებისთანავე ცხვირი რომ უვინროვდებოდეს და უგანიერდებოდეს, ლამაზ მელოდიებს დაუსტვენდა, ან შექსპირს წაიკითხავდა, ან გამაცინებდა მაინც. შემიძლია, გამოვიგონო ჩაიდანი, რომელიც მამაჩემის ხმით წამიკითხავს და დამაძინებს, ან სულაც შევქმნა ჩაიდნების მთელი გუნდი, მრავალ ხმაში რომ იგალობებს *Yellow Submarine*-ს – „ბიტლზი“ ძალიან მიყვარს, რადგან ენტომოლოგია ჩემი *raisons d'être*-ია (ესეც ერთი იმ ფრანგულ ფრაზათაგანი, რომელიც საგანგებოდ დავის-ნავლე). ან კიდევ მშვენიერი იქნებოდა, საკუთარი ანუსისთვის კუებ-კუებით ლაპარაკი მესწავლებინა, და რანამს სადმე ჰაერს წავბილნავდი, ჩემი პროჭი შესძახებდა, მე არ ვყოფილვარო. ხოლო თუ „სარკეებიან დარბაზში“ გამეკუებოდა (რომელიც ვერსალშია, ანუ ჰარიზონ ახლოს, ანუ, მოგეხსენებათ, საფრანგეთში), ჩემი ანუსი იტყოდა: „*Ce n'étais pas moi*

ანდა რა იქნება, ციცქა მიკროფონებს რომ ვყლაპავდეთ და ტანსაცმლის ჯიბეებში ჩაკერებული ჰატარა დინამიკებიდან საკუთარი გულის ბაგაბუგს ვისმენდეთ ხოლმე? ჰოდა, როცა საღამოხანს სკეიტბორდით ქუჩაში გამოვგორდებოდი, მე და გარშემო მყოფნი, ჰიდროლოგატორებით აღჭურვილი გემებივით, ერთმანეთის გულისცემას მოვისმენდით. საინტერესოა, ჩვენი გულების

<sup>1</sup> მე არ ვყოფილვარ (ფრ.)

ფეთქვა ერთდროული იქნებოდა თუ არა, როგორც ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ ქალებს ეწყებათ ხოლმე ერთდროულად თვიური (ეს დანამდვილებით ვიცი, თუმცა სულაც არ მინდა, ვიცოდე)! ნარმოგიდგენიათ, რა ჰარმონია დაისადგურებდა?! მაგრამ სამშობიაროები გემში დაკიდებული ჭალებივით არეულად იზრიალებდნენ, რადგან ახალშობილებს გულისცემის ურთიერთშეწყობის გამოცდილება არ ექნებოდათ. აი, ნიუ-იორკის მარათონის ფინიშზე კი ისეთი გუგუნი იდგებოდა, თავი ფრონტის ხაზზე გეგონებოდა.

და კიდევ ერთი რამ... ადამიანებს საკმაოდ ხშირად სჭირდებათ მრავალსართულიანი შენობიდან სასწრაფოდ ევაკუირება. ფრთები კი არა აქვთ... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ჰოდა, რას იტყვით, საკენკისაგან ხომ არ დაგვემზადებინა სამაშველო ჟილეტები?

მოკლედ...

ჯიუ-ჯიცუში პირველი მეცადინეობა სამთვე-ნახევრის წინ ჩამიტარდა. საპრძოლო ხელოვნებებით გასაგები მიზეზების გამო დავინტერესდი; დედაჩემმა კი გადაწყვიტა, რომ არ მანყენდა, ტამბურინზე დაკვრას სხვაგვარ ფიზიკურ დატვირთვასაც თუ დავუმატებდი. ამიტომაც სამთვე-ნახევრის წინ პირველ ვარჯიშს დავესწარი. ჯგუფში თოთხმეტი ბავშვი ვიყავით და ყველას ქათქათა თეთრი ხალათები გვეცვა. თავის დაკვრით მისალმება რომ ვისწავლეთ, ფეხმორთხმით დავსხედით და მასწავლებელს შევაცქერდით. სენსეი მარტინი თავისთან მიმიხმო და მითხრა, ფეხი ყვერებში ამომარტყიო. *Excusez-moi?*-მეთქი – ყურებს არ დაგუჯერე. სენსეიმ ფეხები განზე გადგა და გამიმეორა:

– ყვერებში ამომცხე... მთელი ძალით, – მერე დოინჯი შემოირტყა, ღრმად ჩაისუნთქა და თვალები დახუჭა, რამაც საპოლოოდ დამარწმუნა, რომ არ ხუმრობდა.

– პონტია, – ჩავიბურტყუნე. გულში კი გავიფიქრე, რა ჯანდაბა უნდა-მეთქი.

სენსეიმ – მიდი, დამაყრევინე ყვერებიო.

– დაგაყრევინოთ?

თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ მაინც ამაყად და მედი-დურად გამოიყურებოდა:

– სულერთია, არაფერი გამოგივა. სამაგიეროდ ყველანი ნა-ხავთ, როგორ უძლებს კარგად გაწვრთნილი სხეული ძლიერ დარტყმას. მიდი, ცოცხლად!

მე ვუთხარი, პაციფისტი ვარ-მეთქი. და რადგან ჩემი თანატო-ლებიდან ცოტამ თუ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა, შევბრუნდი და დანარჩენებს გადაუულაპარაკე:

– ჩემი აზრით, ადამიანების დაყვერვა არ შეიძლება. ზოგადად, დაუშვებელია.

მაშინ სენსეი მარკმა, შეიძლება, რაღაც გკითხოო?

მივუტრიალდი და მივუგე, „შეიძლება რაღაც გკითხო“ უკვე კითხვაა-მეთქი.

იმან – არ გინდა, ნამდვილი ოსტატი დადგეო?

არა-მეთქი. თუმცა ოჯახის საიუველირო ბიზნესის გაძლოლა-ზეც რომ არ ვოცნებობდი, აღარ მითქვამს.

მაშინ სენსეიმ მკითხა:

– გინდა, იცოდე, როდის იქცევა ჯიუ-ჯიცუს მოსწავლე ოს-ტატად?

ყველაფრის ცოდნა მინდა-მეთქი. თუმცა ვიცრუე: ყველაფრის ცოდნა არასოდეს მდომებია.

– ჯიუ-ჯიცუს მოსწავლე ოსტატი მაშინ გახდება, როცა თავის მასწავლებელს ყველებს დააყრევინებს, – თქვა სენსეიმ.

ვაა, მაგარია-მეთქი, ვუთხარი.

ჯიუ-ჯიცუში ბოლო მეცადინეობა სამთვე-ნახევრის წინ ჩამი-ტარდა.

ძალიან მენატრება ჩემი ტამბურინი, რადგან მომხდარი ამბე-ბის შემდეგ გულზე დარდი მაწევს ლოდად. დაკვრა კი ამ ტვირთს მიმსუბუქებს. ჩემი საუკეთესო ნომერი რიმსკი-კორსაკოვის „ბა-ზის გაფრენაა“. იგივე მუსიკა ჩამოვუტვირთე ზარად ჩემს მობი-ლურ ტელეფონს, რომელიც მამაჩემის სიკედილის შემდეგ მიყიდეს. ისე, უცნაურია „ბაზის გაფრენას“ რომ ვუკრავ: ამ ნაწარმოების

ზოგი მონაკვეთი უსაშველოდ სწრაფად უნდა შესრულდეს, რაც ჩემთვის ძალიან ძნელია, რადგან ჯერ მაჯები სათანადოდ არ გამივარჯიშებია. რონმა შემომთავაზა, დრამის ხუთდოლიან დანადგარს გიყიდიო. რასაკვირველია, ფულით თავს ვერავის შეაყვარებ, მაგრამ მაინც ვკითხე, „ზილჯიანის“ თეთშები თუ ექნება-მეთქი? როგორც მოისურვებო. მერე კი მაგიდიდან იო-იო<sup>2</sup> აიღო და „ძალლის გასეირნებას“ შეუდგა. ვიცოდი, რომ რონს უბრალოდ დამეგობრება უნდოდა, მაგრამ მაინც ძალიან გაებრაზდი.

— იო-იო *toi!* — ვუთხარი მკაცრად და სათამაშო წავართვი. სინამდვილეში მინდოდა, მეთქვა: მამაჩემი არ ხარ და ვერც გახდები-მეთქი.

უცნაურია, როგორ მატულობს მკვდრების რაოდენობა. დედამინა კი არ იზრდება. ნუთუ მალე კაცის დასამარხი ადგილი აღარ დარჩება? შარშან, ცხრა წლის რომ გავხდი, ბებიაჩემმა „National Geographic“-ი გამომიწერა და თეთრი სპორტული უაკეტი მაჩუქა, რადგან ყოველთვის თეთრ ტანსაცმელს ვიცვამ ხოლმე. უაკეტი ჩემთვის ცოტა დიდი გამოდგა, ასე რომ, დიდხანს შემრჩება... კიდევ ბებომ მაჩუქა ბაბუაჩემის ფოტოაპარატი, რომელიც ორი მიზეზის გამო მომწონდა. ვკითხე, როცა მიგატოვა, თან რატომ არ წაიღო-მეთქი? ალბათ, იმიტომ, რომ შენ დაგრჩენდაო, მიპასუხა. გამიკვირდა: კი მაგრამ, მაშინ ხომ მინუს ოცდაათი წლის ვიყავი-მეთქი! მერე რაო? — და მხრები აიჩეჩა. მოკლედ, „National Geographic“-ში ერთი საინტერესო რამ ამოვიკითხე: თურმე ამ-უამად დედამინაზე მცხოვრები ადამიანების რაოდენობა ბევრად აღემატება მთელი ისტორიის მანძილზე დახოცილთა რაოდენობას. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მსოფლიოში ყველა ერთდროულად მოისურვებს „ჰამლეტის“ თამაშს, მსურველთა ერთ წანილს მოცდა მოუწევს, რადგან თავის ქალები ყველას არ ეყოფა!

<sup>2</sup> იო-იოს ტრიალის ერთ-ერთი ილეთი, როდესაც კოჭი იატაკის პარალელურად მოძრაობს, თითქოს ჯაჭვით ძალლს ასეირნებო.

ისე, რა იქნება, მიწის ქვეშ მიცვალებულებისთვის ცათამბჯენები რომ ავაშენოთ? ასეთი მრავალსართულიანი სარდაფები მიწის ზემოთ მდგომი შენობების ქვეშ მოეწყობოდა. ამგვარად, ადამიანებს ასი სართულის სიღრმეზეც კი დავმარხავდით და მკვდრების სამყარო ზუსტად ცოცხალთა საცხოვრებლის ქვეშ იქნებოდა. ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე – რა მოხდებოდა, ზემოთ-ქვემოთ ლიფტები კი არა, თავად შენობები რომ ადი-ჩადიოდნენ, ლიფტები კი ერთ ადგილას იყვნენ გაშეშებული? ვთქვათ, ოთხმოცდამეტხუთმეტე სართულზე გინდა ასვლა. აჭერ ლილაკს და საჭირო სართული თავად ეშვება შენთან. ასეთი რამ შეიძლება ძალიან გამოგადგეს: თუ 95-ე სართულზე ყოფნისას ცათამბჯენის ქვედა სართულებს თვითმფრინავი დაეჯახება, შენობა თვითონ ჩაგიყვანს მიწამდე და საკენკისაგან დამზადებული სამაშველო ჟილეტის გარეშეც გადარჩები.

ლიმუზინში მხოლოდ ორჯერ ვმჯდარვარ. პირველმა ჯერმა საშინლად ჩაიარა, თუმცა თავად ლიმუზინი მშვენიერი იყო. სახლში ტელევიზორს არ მაყურებინებენ. ლიმუზინშიც არ მაყურებინეს, მაგრამ მანქანაში ტელევიზორის დანახვამ მაინც გამახარა. ვიკითხე, შეიძლება სკოლასთან გავიაროთ, კბილისპასტამ და მინჩჩა ლიმუზინში რომ მნახონ-მეთქი? დედამ მიპასუხა, რომ სკოლა გზად არ გვქონდა და რომ სასაფლაოზე დაგვიანება არ შეიძლებოდა. რატომ-მეთქი? – ეს კარგი კითხვა იყო, რადგან, კაცმა რომ თქვას, მართლაც რატომ არ შეიძლება სასაფლაოზე დაგვიანება? მართალია, ახლა საქმე სხვაგვარადაა, მაგრამ ადრე ათეისტი ვიყყავი. ანუ მეცნიერების მიერ არდამტკიცებული რამეების არ მჯეროდა. ამიტომაც ვთვლიდი, რომ თუ მოკვდი, მუდამ მკვდარი იქნები – არც რამეს იგრძნობ, არც რამე დაგესიზმრება. თუმცა არ გეგონოთ, რომ ახლა მეტად მჯერა იმის, რასაც მეცნიერება ვერ შეისწავლის – სულაც არა. უბრალოდ მწამს, რომ ყველაფერი ბევრად უფრო რთულადაა მოწყობილი.

თანაც, ბოლოს და ბოლოს, სინამდვილეში ხომ არავის ვკრძალავდით!

გულით მინდოდა, ნერვები არ მომშლოდა, მაგრამ მაინც ყელში ამომივიდა, გაუთავებლად ხელს რომ მკიდებდა ბებიაჩემი. ამიტო-მაც წინა სავარძელზე გადავდვერი და მანამ ვეჯაჯგურე მძღოლს მხარზე, სანამ ყურადღება არ მომაქცია.

– რა. ფუნქციას. ასრულებ. სამყაროში? – ვკითხე სტივენ პო-კინგის ხმით.

– ჰა?

– თქვენი სახელი აინტერესებს, – გამოსძახა უკნიდან ბებია-ჩემმა.

მძღოლმა სავიზიტო ბარათი გამომიწოდა:

**ჯერალდ თომპსონი**  
„მბრწყინავი ლიმუზინი“

ემსახურება ხუთ მუნიციპალურ ოლქს  
(212) 570-7249

მეც მივეცი სავიზიტო ბარათი.

– მოგესალმები. ჯერალდ. მე. ოსკარი. ვარ.

მძღოლმა, ასე რატომ ლაპარაკობო?

მივუგე:

– ოსკარის ცენტრალური პროცესორი ხელოვნური ნეირონუ-ლი ქსელისგან შედგება. ესაა შემცენების უნარის მქონე კომპიუ-ტერი, რომელიც მით მეტს სწავლობს, რაც მეტი კონტაქტი აქვს ადამიანებთან.

– ო... – თქვა ჯერალდმა და დასძინა: – ...კეი.

ვერ გავიგე, მოვეწონე თუ არა. ამიტომაც ვუთხარი:

– ასდოლარიანი სათვალე გაქვს.

– ასსამოცდათხუთმეტიანი, – შემისწორა.

– ბევრი სალანძღავი სიტყვა იცი?

– საკმაოდ.

- მე კიდე მიკრძალავენ გინებას.
- ტეხავს.
- „ტეხავს“ რას ნიშნავს?
- „ტეხავს“, ანუ ცუდია, რა!
- იცი, რას ნიშნავს „ყლე“?
- ცუდი სიტყვაა!
- მაგრამ „ყლეს“ მაგივრად „მებაყლე“ რომ ვთქვა, ხომ შეიძლება?
  - ალბათ, შეიძლება.
  - ჰო, მაგრამ რა ჩემს მებაყლედ მინდა!
- ჯერალდმა თავი გაიქნია და ჩაიცინა. კი არ დამცინა, გაეცინა.
- მე კი „სირის“ თქმაც მეკრძალება... თუ, რა თქმა უნდა, ფრინველს არ ვგულისხმობ... რა ლამაზი ხელთათმანებია!
- დიდი მადლობა.
- მერე თავში ერთი აზრი მომივიდა და სასწრაფოდ გავუზიარე:
  - სხვათა შორის, ძაალიან გრძელი ლიმუზინები რომ არსებობდეს, მძლოლები აღარ დაგვჭირდებოდა: კაცი უკანა კარიდან შევიდოდა, მანქანის სალონს გაივლიდა და წინა კარიდან დანიშნულების ადგილას (ჩვენს შემთხვევაში, სასაფლაოზე) გადმოვიდოდა.
  - მე კი ტელევიზორს ჩავრთავდი და მატჩს ვუყურებდი.
- მხარზე ხელი დავუტყაპუნე და ვუთხარი:
- ლექსიკონში სიტყვა „მხიარულს“ თუ მოძებნით, გვერდით უსათუოდ საკუთარ ფოტოსურათს იხილავთ.
- უკანა სავარძელზე დედას ხელი ჩანთაში ჩაეყო და რაღაცას მაგრად ჩასჭიდებოდა. დავინახე, როგორ დაეჭიმა მაჯაზე კუნთები. ბებია თეთრ ხელთათმანს ქსოვდა. ფერიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ ჩემთვის ქსოვდა, თუმცა ჯერ სულაც არ ციოდა. მინდოდა, დედასთვის მექითხა, რა ჰქონდა ჩაბლუჯული და რას მალავდა ასე გულმოდგინედ. მერე მახსოვს, გავიფიქრე: თუგინდ ჰიპოთერ-მიისგან ვკვდებოდე, ამ ხელთათმანებს მაინც არ ჩავიცვამ-მეთქი.
- იცით, რას ვფიქრობ, - მივუბრუნდი ჯერალდს, - შეიძლება გაკეთდეს წარმოუდგენლად გრძელი ლიმუზინი, რომლის უკანა

კარიც დედის საშოსთან იქნება, წინა კარი კი პირდაპირ სამარის კართან; ამგვარად, მთელი ჩვენი სიცოცხლე ერთი დიდ ლიმუზინად გადაიქცევა.

ჯერალდმა მითხრა:

– კი, მაგრამ თუ ყველას ასეთი ლიმუზინი ეყოლება, ადამიანები ერთმანეთს ვეღარ შეხვდებიან. ასე არაა?

მე ვუთხარო:

– მერე რა?

დედას ისევ რაღაც ჰქონდა ჩაბლუჯული, ბებო ისევ ქსოვდა, მე კი ჯერალდს გადავულაპარაკე:

– ერთხელ ფრანგულ წინილას მუცელში ფეხი მივარტყი, – მინდოდა, გამეცინებინა, რადგან თუ გავაცინებდი, გულზე ლოდად დანოლილი დარდი ოდნავ შემიმსუბუქდებოდა. ჯერალდმა არაფერი მიპასუხა: მგონი, ვერც გაიგო, რა ვუთხარი. ამიტომაც გავუმეორე:

– გესმის? ერთხელ ფრანგულ წინილას მუცელში ფეხი მივარტყი-მეთქი!

– ჲა?

– ჲოდა, ასე დაიძახა: *Oeuf!*<sup>3</sup>

– ეგ რა არი?

– ხუმრობაა. გინდა კიდევ ერთი მაგარი ამბავი? თუ უკვე მოგაწვე *un oeuf?*

ჯერალდმა ბებიაჩემს გახედა სარკეში:

– რაო, რას მეუბნება?

– ბაბუამისს ადამიანებზე მეტად ცხოველები უყვარდა, – მიუგო ბებომ.

– გაიგე, შე *oeuf*?! – ისევ უკანა სავარძელზე გადავძვერი იმიტომ, რომ ერთდროულად ლაპარაკი და მანქანის მართვა სახიფათოა. განსაკუთრებით ისეთ ავტომაგისტრალზე, როგორზეც მივჭროდით. ბებიაჩემმა ისევ დამიწყო ხელების ქლაცუნი და ნერვების მოშლა. არადა, სულ არ მინდოდა ნერვების მოშლა.

<sup>3</sup> კვერცხი (ფრ.).